



იხილეთ მე-3 გვერდზე

იხილეთ მე-2 გვერდზე

მუქარა-ზენოლისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები იმერეთში

„სამართლიანმა არჩევნების“ მიერ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში საუბარია ვანსა და ხარაგაულში პოლიტიკური ზეწოლისა და მუქარის ფაქტებზე.

„პარტია „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ განცხადებით, ვანის მუნიციპალიტეტის თანამშრომელს, რომელიც პარტია „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ მხარდამჭერია, სოსო ჩიტორელიძეს პარტია „ქართული ოცნების ოფისში“ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენეს. პარტიის განცხადებით „ქართული ოცნების“ ოფისში იმყოფებოდნენ ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ხურციძე, მისი მოადგილე ლაშა გიორგაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი და ამავე პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვანისა და ხონის ოლქში გრიგოლ ლილუაშვილი.

„პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ ვანის თავმჯდომარე კობა ძვინიძემ „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს განუცხადა, რომ სოსო ჩიტორელიძე პარტია „ქართული ოცნების“ ოფისში ვანში მომხდარი სტიქიურ უბედურების საკითხთან დაკავშირებით დაიბარეს, თუმცა პარტიის ლიდერებმა მასზე ზეწოლა მისი შვილის - ბესო ჩიტორელიძის გამო მოახდინეს, რომელიც პარტია „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ წარმომადგენელია ვანის მუნიციპალიტეტის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლაშა გიორგაძე „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელთან საუბარში აღნიშნულ ფაქტს უარყოფს. მისი თქმით, 23 ივლისს, შაბათს, პარტია „ქართული ოცნების“ ოფისში შეხვედრა მართლაც გაიმართა და მათი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, გრიგოლ ლილუაშვილს გაცნობით ხასიათის შეხვედრა ჰქონდა ვანის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან, რომლებიც ამავდროულად

პ/გ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან. ლაშა გიორგაძემ აღნიშნა, რომ სოსო ჩიტორელიძე შეხვედრაზე მართლაც იმყოფებოდა, თუმცა მის მიმართ არანაირი სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა ადგილი არ ჰქონია. - ნათქვამია განცხადებაში.

ანგარიშში აღნიშნულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რესპუბლიკელი თავმჯდომარის ინგა მალრაძის თანამდებობიდან გადაყენების მცდელობაც.

„ინგა მალრაძის განცხადებით, მისი იმპიჩმენტის საკითხის განხილვა საკრებულოში მხოლოდ იმიტომ დადგა დღის წესრიგში, რომ იგი რესპუბლიკური პარტიის წევრია, და ამ საკითხის წამოჭრა დაკავშირებულია მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან.

საკრებულოს წევრის, ვარლამ ჭიპაშვილის განცხადებით, იმპიჩმენტის საკითხის განხილვის მიზეზი გახლდათ საკრებულოს წევრებს შორის შეუთანხმებლობა რიგ საკითხებზე.

აღნიშნულის მიზეზი კი წევრთა პარტიულობას უკავშირდება, რადგან მათი ნაწილი პარტია „ქართული ოცნების“ წევრია, ხოლო ნაწილი „რესპუბლიკური პარტიის“.

აღსანიშნავია, რომ 27 ივლისის სხდომაზე საკითხის განხილვისას ინგა მალრაძის თანამდებობიდან გადასაყენებლად საკმარისი ხმების რაოდენობა ვერ მოგროვდა.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტზე საუბრობს სამართლიანი არჩევნები ტყუილში, მინი ფეხბურთის ფინალურ მატჩის რომელიც ტყუილის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული, დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობის



წარმომადგენლებმა გამარჯვებულებს მიულოცეს და გადასცეს საჩუქრები. დეპუტატობის კანდიდატმაც მიულოცა გამარჯვებულებს და სიტყვით მიმართა, რაც აგრესიის ნიშნებს შეიცავდა.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტია გამოვლენილი თერჯოლაშიც.

„2016 წლის 18 ივლისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, თეიმურაზ ჯაფარიძე „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებით გამოცხადდა (Mitsubishi Pajero, სანომრე ნომერი TE-041-RJ). ავტომანქანა, თერჯოლაში, „ქართული

ოცნება-დემოკრატიული“ საქართველოს რაიონულ ოფისთან იდგა.

შეხვედრაზე შეკრებილი იყვნენ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ წევრები და აქტივისტები, დაახლოებით 700-მდე ადამიანი, ისინი ემზადებოდნენ ქუთაისში წასასვლელად, სადაც მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა უნდა მომხდარიყო. გამგებლის მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე რიცხული მანქანის პარტიული მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენებას.“ - ნათქვამია ანგარიშში.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტად მიაჩნიათ ასე-

ვე, ქუთაისში, 18 ივლისს, გიორგი კვიციანიშვილის მიერ იმერეთის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი დეპუტატების წარდგენის დღეს გამოვლენილი დარღვევები კერძოდ, „სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, აღნიშნული შეხვედრისთვის ქუთაისის საჯარო სკოლებიდან და ბაღებიდან პედაგოგების მობილიზება მოხდა. ქუთაისის მე-5 ბაღის ერთ-ერთი პედაგოგის განცხადებით, ყველა თანამშრომელი დაბარებული იყო მერიაში 6 საათზე, საიდანაც უნდა წაეყვანათ 8 საათზე დაგეგმილ ღონისძიებაზე.

მართა მარგველაძე

ქუთაისში 5 შვილიანი დედა ბინის ბარეშე რჩება

24 აგვისტოს ქალაქ ქუთაისის მერიასთან შიმშილობა გამოაცხადა იპოთეკით დაზარალებულმა ხუთშვილიანმა დედამ ნანა დეი-საძემ, იგი მერიისგან დახმარებას ითხოვს. მისივე თქმით რამდენიმე წლის წინ მან მშობლების ბინა იპოთეკით დატვირთა კერძო პირთან, რომელმაც უკანონოდ გადააფორმა ბინა და გაყიდა მესამე პირზე. ბინის ახალი მესაბრუნე კი ქალბატონ ნანა დეისაძესა და მის ოჯახს ბინიდან გასვლას სთხოვს. დაზარალებულები მერიას მიმართავენ, დაეხმარონ სამართლიან გამოძიებაში.



ანლა ბინის დაცლას მოხვს. პოლიციის მეორე განყოფილებაშიც ვიყავით და ვთხოვდით, დაგვხმარებოდნენ იმ ქალის მოძებნაში, მაგრამ დღემდე არაფერია და ახლაც აქ ვართ. განყოფილებაში ჩემი შვილი ცუდად გახდა, ამით ისარგებლეს და ხელი მოაწერინეს და მისცეს ერთი დღის ვადა, რომ გამოსულიყო სახლიდან, გუშინ იყო ის ჩვენი ერთი დღე. ემუქრებიან ჩემ გოგოს, როგორც კი სახლში შევალთ, დაგვიჭერთო. ახალი თაობა მოდის, გეხვეწებით, გელმერთებით მოგვხედეთ ჩვენ მოხუცებულებს და

კარგი პოსტი დაიკავეთ, რომ სამართლიანობა იყოს ამ ქვეყანაში.

- რას ითხოვთ მერიისგან?

ერთადერთი, რასაც ვითხოვთ, არის ის, რომ დაგვეხმარონ იმ ქალის მოძებნაში და გადავუხდი ფულს, თავიდან ვისესხე 4 ათასი ლარი, ახლა მიხვს 25 ათასს, ამდენს ვერა, მაგრამ 10 ათასს გადავუხდი, ოღონდ მომაძებნინონ და გამოჩნდეს.

მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ეს არის კერძო დავა, სასამართლოს გადასაწყვეტი და მერია ამაში ვერ ჩაერევა, თუმცა ის სთავაზობს დაზარალებულის ოჯახს 3 თვის ვადით ბინის ქირაობას, რაზეც უარს აცხადებენ.

ადგილზე იყო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ნინო ონიანი: „ეს არ არის ის სიტუაცია, როცა შეიძლება ვინმემ, რომელიმე პარტიამ გამოიყენოს საარჩევნო კამპანიისთვის. ეს არის ქვეყნის ტყვეობა, თითოეული მოქალაქის ტყვეობა. ამ სიტუაციას უნდა მოერგოს რაღაც კანონი, რო-

მელიც დაეხმარება მათ და ყველა იპოთეკით დაზარალებულს. ხუთი შვილის დედას, რომელსაც ყველა ქვეყანაში ხელის გულზე ატარებენ, ჩვენ სახლიდან ვაძევებთ. სირცხვილია, უბრალოდ!“

ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მერიის განცხადება შემდეგია: „როგორც ირკვევა, ნანა დეისაძემ იპოთეკით დატვირთა მშობლების ბინა ქუთაისში. ვალის გადაუხდელობის გამო ის ბინიდან გამოასახლეს. ასევე ირკვევა, რომ მრავალშვილიანი ქალბატონი ქალაქ ბათუმშია რეგისტრირებული და იქ სარგებლობს შესაბამისი სოციალური დახმარებით. ნანა დეისაძე ითხოვს მისი მშობლების ბინასთან დაკავშირებით საქმის დროულ გამოძიებას. გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამართალწარმოება აღნიშნულ საკითხზე მერიის კომპეტენცია არ არის. ჩვენის მხრიდან მისი ოჯახის წევრს, რა თქმა უნდა, იმას, ვინც ქუთაისშია რეგისტრირებული, გაეწევა ერთგვარად მატერიალური დახმარება, რათა არსებული პრობლემის

დროებით გადაჭრა მოხდეს.“

ნანა დეისაძე არ უარყოფს ბათუმში ცხოვრების ფაქტს.

— ბათუმში მაქვს ბინა ნაქირავები, მეხუთეზე როცა ვიყავი ფეხმძიმედ, იქ დავდიოდი ექიმთან, დედამიშვილები მყავს და იქვე ამიყვანეს აღორცილებაზე და შესაბამისად, იქ ვიღებ სოციალურ დახმარებას.

ნანა დეისაძეს აქვს მეორე სტადიის სიმსივნე, ის და დედამისი არ აპირებენ შიმშილობის შეწყვეტას და სთხოვენ მერიას, დაეხმარონ სამართლიან გამოძიებაში და მოაძებნინონ იპოთეკარი.

მეზო კახაბაძე

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771 987 705004

მცირე ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საინფორმაციო

მცირე მეწარმობას დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ის ქმნის მოსახლეობისთვის საჭირო საქონელს და მომსახურებას, ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას თემებში. მეწარმობის განვითარების კუთხით ქვეყანაში ბევრი კეთდება, სახელმწიფო მხარს უჭერს ახალი ბიზნესების ჩამოყალიბებას სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით. ბევრს აკეთებენ ასევე განვითარების სფეროში მომუშავე არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა დონორის მიერ ფინანსდება. ამ კონტექსტში აღსანიშნავია „BP საქართველოს“ წვლილი, რომელიც ფაქტობრივად ერთადერთი კერძო კომპანიაა ქვეყნის მასშტაბით, ვინც უკვე რამდენიმე წელია, თანმიმდევრულად მხარს უჭერს სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის (CDI) პროგრამა 2012 წლიდან ხორციელდება იმერეთისა და გურიის რეგიონებში და მოიცავს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გასწვრივ მდებარე 60 სოფელს. პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში, რომელიც 2012 წელს დაიწყო, დაფინანსდა 161 დამწყები მიკრო-ბიზნესი.

პროექტის მეორე ფაზას 2015 წლის ივლისიდან ახორციელებს კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი CTC. პროექტის მიზანია ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ მდებარე თემების კეთილდღეობის ამაღლება ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობით.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია კონკურსის საფუძველზე მცირე გრანტების გაცემა დამწყები მიკრო-ბიზნესებისთვის და ბენეფიციართა სამეწარმეო და პროფესიული უნარების განვითარება სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და კონსულტაციების მეშვეობით.

პროექტის დაწყებიდან ერთ წელიწადზე მეტი გავიდა. განვლილი პერიოდი საშუალებას გვაძლევს, შევაჯამოთ შუალედური შედეგები.

რა გაკეთდა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში?

ჩატარდა საგრანტო კონკურსის პირველი რაუნდი, რომელიც

მიზნად ისახავდა სიცოცხლისუნარიანი მიკრო-ბიზნესის იდეების გამოვლენას და მათ მხარდაჭერას. კონკურსში წარმოდგენილი ბიზნეს-იდეების რაოდენობამ 530-ს გადააჭარბა. სამეტაბიანი შერჩევის შედეგად 2015 წელს დაფინანსება მოიპოვა სულ 77-მა მიკრო-ბიზნესმა. გადაცემული სახსრებით მათ შეიძინეს საწარმოო საშუალებები და დაიწყეს საქმიანობა. ვინაიდან პროექტი ხორციელდება სოფლებში, დაფინანსებული ბიზნესების უმეტესობა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალბატონები, ვისთვისაც ეს ხშირად დაფინანსების მიღების ერთადერთი საშუალება იყო. მათ საშუალება მიეცათ, დაეწყათ საკუთარი საქმიანობა დარგებში, როგორცაა სამკერვალო, საცხობი, საკონდიტრო, სასასაბურე მეურნეობა და სხვ.

კონკურსის მონაწილეობისთვის ჩატარდა ასევე ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები ბიზნეს-გეგმის შედგენაში, საგადასახადო რეგისტრაციისა და დაბეგვრის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ პროექტში ჩართული ეკონომიკური განვითარების სპეციალისტები ბენეფიციარებთან ინტენსიურ საკონსულტაციო საქმიანობას ეწევიან. ყოველთვიური შეხვედრების დროს ისინი ცოდნას უზიარებენ დამწყებ მეწარმეებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა საწარმოს სტრატეგიული განვითარება, თვითღირებულების გაანგარიშება, მართვისა და აღრიცხვის გაუმჯობესება და ა.შ.

პროექტი დიდ ყურადღებას აქცევს, რომ ტრენინგების შინაარსი მორგებული იყოს მონაწილეთა რეალურ საჭიროებებზე. ამ მიზნით პროექტის სპეციალისტები რეგულარულად აწარმოებენ საჭიროებათა წინასწარ შესწავლას. მოკვლევის საფუძველზე დაფინანსებულ მეფუტკრეებსა და მესათბურეებს საქმიანობის ადგილების მიხედვით ასევე ჩატარდა პროფესიული ტრენინგები, რომელიც მიმართული იყო მათი პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებაზე. ამ მიზნით მოწვეული იყვნენ ცნობილი დარგობრივი სპეციალისტები.

პროექტმა დაწერა კიდევ ერთი საინტერესო სახსრები, მენტორული შეხვედრები - როდესაც უფრო გამოცდილი ბენეფიციარები ხვდებიან ახალბედებს და პრაქტიკული რჩევებით ეხმარებიან მათ. აღნიშნული მოდელი ძალზედ



მეთვან ჩუბინიძე, როდინაული



ნანა გურგანიძე, მარტოთუხანი

ეფექტური აღმოჩნდა. ბენეფიციარებისათვის განსაკუთრებით მისაღებია მსგავსი საქმიანობით დაკავებული ადამიანის გამოცდილების გაზიარება, თავად კომუნიკაციის პროცესიც მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. მიმდინარე წლის ივნისში სოფლებში დაიწყო საინფორმაციო შეხვედრები მეორე საგრანტო კონკურსის ფარგლებში. ივლისის შუა რიცხვებში შემოვიდა 280-ზე მეტი განაცხადი ბიზნეს-იდეების აღწერით. კომისიის მიერ შერჩეულმა 78-მა ადამიანმა გაიარა ორდღიანი ტრენინგი ბიზნეს-გეგმის შედგენაში.

შემდეგ ეტაპებზე მოხდება ბიზნეს-გეგმების განხილვა, კონკურსის მონაწილეთა ადგილზე მონახულება და გასაუბრება და მათი ბიზნეს-იდეების პრეზენტაცია კომისიის წინაშე. სექ-

ტემბრის ბოლოს მოხდება გამარჯვებულების საბოლოო შერჩევა და გაცემა დაფინანსება.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა. ის ხელს უწყობს იმას, რომ ხალხს უჩინდება მშობლიური სოფელში დარჩენის მოტივაცია. მიზანდასახული და მოტივირებული ადამიანი აუცილებლად გამოიყენებს ასეთ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას და წარმატებულად განვითარებს საქმეს“, - ამბობს სოფ. როდინაულის მკვიდრი ქეთევან ჩუბინიძე, რომელმაც კალმახა სოკოს წარმოების ბიზნესი წამოიწყო.

„მე ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საკუთარი ბიზნესის დაწყების საშუალება“, - ამბობს ნანა გურგენიძე ზესტაფონის რაიონის სოფ. მარტოთუხნიდან, რომელიც სხვადასხვა სახის ჩითილებს აწარმოებს. - ბიზნეს გეგმის დაწერა

და ფინანსური გაანგარიშებების გაკეთება არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მე ეს შევძელი და კონკურსში გავიმარჯვე. ძალიან დიდი მადლობა BP-ის და CTC-ის, სათბურს თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვამუშავე, ის ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის სტაბილური შემოსავლის წყარო გახდა“.

მადლიერებას გამოხატავს ასევე ნაზიბროლა თუთარაშვილი, ენერჯული და კომუნიკაციების ქალბატონი ზესტაფონის რაიონის სოფ. მეორე სვირიდან, რომელსაც პროექტმა სამკერვალო მანქანები გადასცა. „უაღრესად მადლობელი ვარ BP-ის და ორგანიზაცია CTC-ის, რომლებმაც საშუალება მომცეს ჩემი გატაცება ბიზნესად და შემოსავლის წყაროდ მექცია“.

ბაბა ჩინიჯიოვილი

მთავარი რედაქტორი:

ნატო გუბელაძე

დისკონი: ირმა ბახუტაშვილი
ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“
(„პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაქ) 3+321 (479.22) (054)
კ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
• psnews27@gmail.com
• www.psnews.ge



საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართვა საზოგადოებას

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ საქართველოს უახლეს ისტორიაში გარდამტეხი როლი შეასრულა და ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დააყენა. ამ 4 წელიწადში დაგეგმიური, რომ „ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება ადამიანი და მისი თავისუფლება, თითოეული მოქალაქის მშვიდი და სტაბილური ცხოვრება, მათი ჯანდაცვა და სოციალური პირობებით უზრუნველყოფაა. ჩვენ, სწორი და გონივრული პოლიტიკით, შეიარაღებული კონფლიქტები და ომის განახლების საფრთხე ავირიდეთ თავიდან.

ხელისუფლების ზეწოლისგან გათავისუფლდა მედია, სასამართლო, პოლიცია, ბიზნესი, დაცულია საკუთრების უფლება. სახელმწიფომ გლეხებს, ფერმერებსა და მეწარმეებს უპრეცედენტო დახმარება გაუწია. „ქართული ოცნებას“ ერთგვრადი შედე-

გისა და ეფექტის მისაღებად არც ერთი ნაბიჯი გადაუდგამს.

უახლოეს მომავალში ხელშეახლები შედეგების მისაღებად ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, ამ 4 წელიწადში, ქვეყნის სწორი განვითარების მყარ ფუნდამენტი ჩაიყარა. დღეს კი ხალხს ქვეყნის სწრაფი განვითარების კონკრეტულ, ოთხპუნქტიან გეგმას ვთავაზობთ, რომელიც საქართველოს წინსვლაში გარდამტეხ როლს შეასრულებს და თითოეულ მოქალაქეს სრულიად ახალ შესაძლებლობებს გაუჩინებს. საგადასახადო სისტემის რეფორმა, დამწყები ბიზნესის ხელშეწყობა, ახალგაზრდების წახალისება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკური განვითარებაზე ორიენტირებული განათლების სისტემა, რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება, სახელმწიფო უწყებების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა — ეს ის აუცილებელი პირობე-

ბია, რომელთა შესრულებაც ქვეყანას ახალ ეტაპზე გადაიყვანს და ხალხს მეტ კეთილდღეობას მოუტანს.

წინ საპარლამენტო არჩევნებია. „ქართული ოცნება“ — დემოკრატიული საქართველო“ არის ქმედითი და უალტერნატივო პოლიტიკური ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ხალხის მხარდაჭერა და ახალი უფრო განამტკიცებს ჩვენს ძალას. დარწმუნებული ვარ, თქვენთან ერთად, გაერთიანებული ძალებით, ჩვენ სრულიად სხვა რეალობას შევქმნით. ჩვენ ერთად ავაშენებთ თავისუფალ, დემოკრატიულ, სტაბილურ და წარმატებულ ქვეყანას, სადაც ხალხის ღირსეული ცხოვრებისთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიორბი კვიციანი



„ჩანაცვლება ული“ ქალი კანდიდატი

ნატო დანელია ქუთაისის მაჟორიტარობის ერთ ერთი ქალი კანდიდატია. სანამ არჩევნებში საკუთარ შესაძლებლობებს მოსინჯავდა, მანამდე „ახალი საქართველოს“ მიერ ჩატარებული პრაიმერის გამარჯვებული გახდა.

პრაიმერის დროს #47 ოლქის 563 ამომრჩევიდან მას 311-მა მისცა ხმა და „ახალი საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატიც გახდა, თუმცა, დროებით.

„გირჩის“, „მემარჯვენეების“ და „ახალი საქართველოს“ გაერთიანების შემდეგ „ახალი საქართველოს“ ლიდერმა ქალი კანდიდატი ახალი კანდიდატი, ირაკლი ჯულაყიძის ჩაანაცვლა.

თუმცა, გირჩი ვაშაძე ამბობს, რომ ჯერ ოფიციალურად კანდიდატები არ წარუდგინათ: „როგორც იცით, ჩვენ ვართ ბლოკი, მიმდინარეობს კონსულტაციები ბლოკში შემავალ პარტიებს შორის. ჯერ კანდიდატები ოფიციალურად არასად წარვადგინებთ. შევაჯერებთ ჩვენს პარტიან პარტიებთან პოზიციებს და შესაბამისად, შემდეგ წარვადგინებთ ყველა ოლქში კანდიდატებს.“ - განახლა ვაშაძე.

პრაიმერის გამარჯვებული კანდიდატი ბრძოლის დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით განაგრძობს და გამარჯვების იმედიც აქვს. პრაიმერის გამარჯვებულის

უკეთ გასაცნობად ვთავაზობთ მოკლე ინტერვიუს ნატო დანელიასთან. (სტილი დაცულია)

- ქალბატონო ნატო, რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა?

- განვილიმა ცხოვრებამ, იმან, რომ ბევრ ქვეყანაში მიცხოვრია, დიდი დასაწვა ჩემს გონებას, რატომ არ შეიძლება, რომ საქართველოში იყოს ყველაფერი უკეთესად. ვფიქრობ, დროა, ქვეყანა გათავისუფლდეს კორუფციის, ნეპოტიზმის, კლანური მმართველობისგან და პროფესიონალებმა აკეთონ თავის საქმე. არ ვამბობ, რომ მე ვარ ის ერთადერთი პროფესიონალი, მაგრამ ვფიქრობ, რომ შევძლებ.

- რატომ გირჩი ვაშაძის პარტია „ახალი საქართველო“?

- მე გირჩი ვაშაძეს დიდ პატივს ვცემდი და ახლაც ვცემ. მას აქვს უნარი, შედეგად მიიყვანოს საქმე და ამის მაგალითია ერთ-ერთი იუსტიციის სახლები. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ორი მთავარი პარტიის მხარდამჭერია. ამიტომ არ გამოვრიცხავ ვაშაძის პარტიის



ნატო დანელია

კავშირს „ნაციონალურ მოძრაობასთან“. თუმცა ამ ორი პარტიის იდეოლოგია დღეს მკაფიოდ განსხვავებულია.

- თქვენ გაიმარჯვეთ 31 ოლქის გამართულ პრაიმერში. სამი პარტიის გაერთიანების შემდეგ მოხდა თქვენი ჩანაცვლება ირაკლი ჯულაყიძით...

- მე არა მგონია, რომ ჩემი ჩანაცვლება სამი პარტიის გაერთიანების შედეგია. მე ირაკლი ჯულაყიძეს პირადად არ ვიცნობ, კვლავ კი, რომელიც ჩატარდა რეიტინგული კანდიდატის გამოსავლენად, ნამდვილად არ იყო კომპეტენტური - ეს

არის. თუ იქნება ასეთი შემთავაზება, მე დავთანხმდები.

- როგორ ფიქრობთ, როგორც დამოუკიდებელ მაჟორიტარობის კანდიდატს, გამარჯვების მეტი შანსი გაქვთ?

- ვფიქრობ, მაღალი ნიპილიზმის გრძობის გამო, ამ არჩევნებზე ბრძოლა უფრო კანდიდატებს შორის იქნება და არა პარტიებს შორის. დიდ დამარჯვებულად არ მიმაჩნია პარტიები, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ პარტიას ყველაანარი რესურსი აქვს, რომ მეტად ქონდეს გამარჯვების იმედი. მე დაპირებებს არ ვარიგებ, გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად შევუსრულებ ყველაფერს ჩემს ამომრჩეველს. მითუმეტეს, რომ თავად ვცხოვრობ #47-ე ოლქში და ჩემი ამომრჩეველები, ფაქტობრივად, ჩემი მეზობლები არიან.

- გამარჯვების შემთხვევაში, რა იქნება თქვენი საკანონმდებლო ინიციატივა?

- ბევრი კანონი აუცილებლად უნდა შეიცვალოს, კანონები ხალხს უნდა მოვარგოთ და არა პირიქით. პირველად მივიღებ კანონს საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში ბილწულობის საფრთხის დაწესების საფრთხის დაკავშირებით.

სოფო მანუაშვილი

სამოქალაქო ფორუმი ქუთაისში - რატომ უნდა იყოს მეტი ქალი პოლიტიკაში...

რატომ უნდა იყოს მეტი ქალი პოლიტიკაში და რა უშლის ხელს მათ პარლამენტში მოსვლას, ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სამოქალაქო ფორუმი გაიმართა.

ფორუმზე მოწვეული იყვნენ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილი ქალი კანდიდატები: ნატო ქათამაძე, ლელა სეზუა, ნინო ონიანი, ნანა რობაქიძე. ნინო ონიანი ფორუმზე არ მოვიდა. ნატო ქათამაძემ კი შეხვედრა მალე დატოვა. ნანა რობაქიძემ კი აღნიშნა, რომ მან უარი განაცხადა 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობაზე, თავისი ტელე-მაყურებლის ნდობის დაკარგვის შიშით. შეკრებილი აუდიტორიის შეკითხვებსა და მოსახრებებს ბოლომდე მოუსმინა ლელა სეზუამ.

დისკუსიისათვის გამოყოფილი დროის მონაკვეთში დასმულ საკითხზე ყველა მსურველმა გაამოთქვა თავისი აზრი.

„ჩვენი ქვეყნის მთავარი ინვესტორები არიან მიგრანტი ქალები, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან არჩენენ ოჯახებს, ისინი ფიზიკურად ვერ ახერხებენ საკუთარ სამშობლოში იყვნენ აქტიურები.“

მეორე, 52%-ზე მეტი ქალი არის ამომრჩეველი, თუმცა უმრავლესობა მაინც ირჩევს მამაკაცებს, რაც ნიშნავს, რომ ქლებს არ აქვთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის გამოხატულება. ოდითგანვე ქალის ყველაზე დიდი კრი-

ტიკოსი, ისევე ქლია. ეს უკვე არის მენტალური პრობლემა.

„მე მხარს ვუჭერ, მეტი ქალი იყოს პოლიტიკაში. და კიდევ, დამოუკიდებლობა მაშინ მოვა, როცა თვითონ გახდებით დამოუკიდებლები.“

ასე მიმართა მეკრებელ საზოგადოებას ნუგზარ კობრიძემ.

გაზეთი P.S ესაუბრა თავისუფალი დემოკრატების, ირაკლი ალასანიას პარტიის, 49-ე ოლქის დეპუტატობის კანდიდატს ლელა სეზუას.

ფორუმი ითვალისწინებდა მაჟორიტარი კანდიდატების შეხვედრას ქალთა წრესთან, თუ რატომ არის პრიორიტეტული მეტი ქალი პოლიტიკაში და რა ინიციატივები შეიძლება, ჰქონდეთ მომავალ პარლამენტარებს ქალთა გაძლიერებისათვის.

„მე მოვუსმინე და შევეცადე, პასუხი გამეცა ყველა გამოკვლევისათვის. ჩემი პრიორიტეტი არის და პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში იქნებოდა ქალები. ჩემთვის მნიშვნელოვანია ქალების ეკონომიკური სიძლიერე, რადგან ეკონომიკურად ძლიერი ქალი არის ოჯახის სიძლიერე, ძლიერი ოჯახი კი - ქვეყნის სიძლიერე.“

სამოქალაქო ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ: „მეწარმე ქალთა ფონდი“ და „გენდერული თანასწორობის ქსელი“ მთელი საქართველოს მასშტაბით.

ლიკა დავლარიანი

მონაცემების გადასამოწმებლად ცესკო ამომრჩევლებს ახალ სერვისს სთავაზობს

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ამომრჩევლებს კიდევ ერთ სიახლეს სთავაზობს: მათ ამომრჩეველთა სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება უკვე სწრაფი გადახდის ტერმინალებითაც შეუძლიათ.

ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმებისას, მომხმარებელი ასევე მიიღებს ინფორმაციას, თუ რომელ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული, სადაც შეეძლება ხმის მიცემა. მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველთა სიებში გადამოწმების შესაძლებლობა საქართველოს მასშტაბით განთავსებულ 7000 სწრაფი გადახდის ტერმინალშია შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ საკუთარი თავის და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმება მოქალაქეებს ასევე, შეუძლიათ ვებ-გვერდზე - voters.cec.gov.ge და „ანდროიდის“ სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის/პლანშეტის

ტრაციადან მოიხსნა ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ამომრჩეველთა სიაშიბოლო რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) მიხედვით შევიდა, ხოლო მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული ამომრჩევლის მონაცემები ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) მიხედვით.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ამომრჩევლების ხმის უფლებას უზრუნველყოფს.

ინფორმირებული არჩევნისთვის 2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები!

საპარლამენტო არჩევნების ისტორია საქართველოში

(პირველი ნაწილი)

საქართველოში, 1990 წლიდან დღემდე, ჩატარდა 22 არჩევნები; აქედან, 5 – საპრეზიდენტო, 7 – საპარლამენტო, 7 – აჭარის უმაღლესი საბჭოს და 4 – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. აგრეთვე, ჩატარდა 1 რეფერენდუმი და 2 პლებისციტი.

თუმცა, მანამდე, საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა – აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1918 წლის 22 ნოემბერს დამტკიცებული დამფუძნებელი კრების არჩევნის დებულება ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, პარტიული სიების მიხედვით. არჩევნებში მონაწილეობისთვის დარეგისტრირდა 15 პარტიული სია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად სცნო 505,477 ხმა.



ორად გადანაწილდა: 1) სოციალ-დემოკრატიული პარტია – 409,766 ხმა (109 ადგილი); 2) სოციალისტ-დემოკრატიული – 33,721 ხმა (8 ადგილი); 3) ეროვნულ-დემოკრატიული – 30,154 ხმა (8 ადგილი); 4) სოციალისტ-რევოლუციონერები – 21,721 ხმა (5 ადგილი).

კრება 1919 წლის 12 მარტს ჩატარდა და დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. 1922 წლის 21 თებერვალს კი, საქართველოს კონსტიტუცია მიიღეს, რომელმაც მხოლოდ 4 დღე იმუშავა. საარჩევნო უფლება 20 წლის ასაკიდან განისაზღვრებოდა. პარლამენტს 3 წლის ვადით ირჩევდნენ, პარლამენტართა რაოდენობა კი 120 იყო.

დამფუძნებელმა კრებამ პირველი

1990 წელი



1990 წლის 28 ოქტომბერს, როცა საქართველო ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული სუვერენულ სახელმწიფოდ, მოხერხდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნებში, რომელიც შერეული სისტემით ჩატარდა, 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა. აირჩიეს უზენაესი საბჭოს 250 დეპუტატი 5 წლის ვადით. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 444 000 კაცი იყო. არჩევნებში მონაწილეობა კი მოსახლეობის 67%-მა მიიღო. 4%-იანი ბარიერის გადალახვა და პროპორციული სისტემით მანდატების მიღება მხოლოდ ორმა პარტიამ მოახერხა: "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" (81 დეპუტატი) და საქართველოს კომუნისტური პარტია (44 დეპუტატი). რაც შეეხება

მაჟორიტარებს, ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" – 43 დეპუტატი; კომუნისტური პარტია – 17 დეპუტატი; "სახალხო ფრონტი" – 11; "დემოკრატიული საქართველო" –

2; რუსთაველის საზოგადოება – 1. უზენაეს საბჭოში 6 პარტია იყო წარმოდგენილი. არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში მოვიდა "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" ზვიად გამსახურდიას მეთაურობით.

1992 წელი

ნეზე, დარჩენილი ხმები პრეფერენციის წესით ნაწილდებოდა საერთო ეროვნულ დონეზე. არჩევნებში მონაწილეობდა 36 პოლიტიკური პარტია და საარჩევნო ბლოკი. ბარიერი 24-მა პარტიამ გადალახა: 1) ბლოკი "მშვიდობა" – 29 მანდატი; 2) ბლოკი "11 ოქტომბერი" – 18 მანდატი; 3) ბლოკი "ერთობა" – 14; 4) ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 12; 5) საქართველოს მწვანეთა პარტია – 11; 6) დემოკრატიული პარტია – 10; 7) "ქართული 91" – 9; 8) ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 7; 9) ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – 7; 10) სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება – 5; 11) საქართველოს ეროვნული თავმობისა და აღორძინების კავშირი – 4; 12) საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია – 4; 13) ხალხთა მეგობრობის და სამართლიანობის პარტია – 2; 14) საქართველოს ღვთისმშობელთა კავშირი – 2; 15) სოციალური სამართლიანობის

კავშირი – 2; 16) სრულიად დემოკრატიული პარტია – 2; 17) სრულიად საქართველოს მინათოქმედთა კავშირი – 2; 18) ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია – 4; 19) მთიულთა კავშირი – 1; 20) მამულის აღორძინების საზოგადოება – 1; 21) ბლოკი "საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიულთა პოლიტიკური კავშირი" – 1; 22) სახელმწიფოებრივი ეროვნული პარტია – 1; 23) რადიკალურ მონარქისტული კავშირი – 1; 24) კონსტიტუციური დემოკრატიული პარტია – 1. ამ არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან – 3, 471 866, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 575 197-მა ამომრჩეველმა.

მომზადდა მამუკა მამალაძემ

წყაროები: www.cesko.gg/election-choice.blogspot.com/ka.wikipedia.org/data.electionportal.ge

საარჩევნო სტატისტიკა

2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 63-მა პოლიტიკურმა პარტიამ გამოთქვა.

ცესკომ რეგისტრაციაში 36 პარტია გაატარა, 7 მათგანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, დანარჩენი პოლიტიკური პარტიები კი რეგისტრაციის პროცესში არიან.

ამ დროისთვის საარჩევნო ადმინისტრაციაში 33 საინიციატივო ჯგუფია დარეგისტრირებული, რომელთაგანაც 11-მა კანდიდატმა უკვე გაიარა რეგისტრაცია.

ამ დროისთვის პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკომ უკვე დაარეგისტრირა 38 ადგილობრივი და 7 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია. პარლამენტის არჩევნების გაშუქების მიზნით კი ცესკოს 4-მა მედია ორგანიზაციამ მიმართა.

15 ივლისის მდგომარეობით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 452 093-ს შეადგენს. რაც შეეხება საარჩევნო უბნებს, 73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ 3 634 საარჩევნო უბანი შეიქმნა.

8 ოქტომბერს რიგგარეშე არჩევნების გაიმართება

8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების გარდა საკრებულოს შუალედური და გამგებლების რიგგარეშე არჩევნებიც გაიმართება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შუალედური არჩევნები წალკის, ჭიათურის, აბაშის, კრწანისის, ისნის, გლდანისა და ზუგდიდის ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში ჩატარდება.

გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა მერის და თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნები დანიშნა, რომელიც ბოლნისის, ქალაქ ახალციხის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის საარჩევნო ოლქებში გაიმართება.

საკრებულოს შუალედური, ასევე მერის და თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ყველა საარჩევნო ოლქში მოხდა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებისთვის, მერისა და გამგებლებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო. საერთო ჯამში, საკრებულოს შუალედური არჩევნები ჩატარდება 7 ადგილობრივი საარჩევნო ოლქის 106 საარჩევნო უბანზე, ხოლო მერის და თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება 263 საარჩევნო უბანზე.

ხმის მიხედა საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში

ავღანეთში 2 საარჩევნო უბანი შეიქმნება: ბაგრამის და მაზარი-შარიფის საარჩევნო უბნები, სადაც საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეები მისცემენ ხმას.

კენჭისყრა გაიმართება 2016 წლის 1 ოქტომბერს, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე ადგილობრივი დროით.

გადასატანი საარჩევნო ყუთი უბანში შეიძლება დაბრუნდეს საღამოს 8 საათის შემდეგ.

1 ოქტომბერს ფორს-მაჟორული გარემოებების შესაძლო მოვლენების დადგომის შემთხვევაში, კენჭისყრა შეიძლება გაიმართოს გარემოებების აღმოფხვრიდან მომდევნო დღეს, მაგრამ არა უგვიანეს 4 ოქტომბრისა.



ფოტო: www.euroline.ge/

კონსულტაციის მისაღებად ან შეკითხვების დასაყვესიერად დაეკავშირეთ ცხელ ხაზზე: 595 555 905.
ყაყაისის ყარნალის სტოა ცენტრი:
საქართველოს ქლიაპონისტიოიის ცენტრი